№ 120
შაბათი, 10 ივნისი 1895

1877—1895

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 70 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 55 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

# ივერია

№ 120
შაბათი, 10 ივნისი 1895

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
**და განცხადებათა დასაბეჭდად**
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## „ივერიის“ რედაქციისაგან:

ვისაც სურს, რომ პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.

---

კვირას, 11 ივნისს, დილის 11 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში მოხდება **კრება ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთა** შემდეგ საგნების განსახილველად:

1) წარსულის წლის ანგარიში;

2) მომავალ-სეზონის სავარაუდო ანგარიში;

3) გამგეობის წევრთა ამორჩევა და 4) საზოგადოების წევრთა ამორჩევა.

---

კვალის რედაქცია სთხოვს თავის ტფილისის 1894 წ. ხელის მომწერლებს, ინებონ და წაიღონ პრემია „თამარ დედოფალი“.

გარეშე პირთ შეუძლიანთ იყიდონ. 3 მანეთათ ამ წლის კვალის ხელის მომწერლებს დაეთმობათ 2 მანეთად.

რედაქცია იმყოფება თამამშოვის სახლში, არტილერიის ქუჩაზედ, კორპუსისა და გოლოვინის პროსპექტის შესახვევში.

(3—1)

## ახალი ამბავი

—

*** ის ქურდები, რომელთაც ფოსტის მოხელეს ამას წინად ფული 4600 მან. გამოსტაცეს ხელიდგან, დაიჭირეს ავლაბარში. ერთი იმერელი და ორიც სომეხი ყოფილა. ესენი შენიშნულნი ყოფილან წინადაც ამგვარს საქმეებში. იმ დღის აქეთ, რაც ფულები მოუტაცნიათ, დაუწყვიათ ქეიფი და ლოთობა. 1200 მ. მეტი დაუხარჯავთ გამოძიებით ამ რამდენიმე დღეში, თუმცა დანარჩენი ფულები ვერსად აღმოუჩინეს.

*** წელს ტფილისის მიხეილის საფერშლო სკოლაში 12 დაასრულა სწავლა. ამათში 8 ქართველია.

*** საქართველოს საეპარქიო სასწავლებლის საბჭოს სასულიერო წოდებისათვის გამოუცხადებია, რათა მათ დაავალონ მრევლს, რომ სამრევლო სკოლებს საზოგადო მიწიდგან დაუთმონ რამოდენიმე ადგილი, აგრეთვე დღესასწაულებზედ, ნათლობებზედ, ქორწინებაზედ მოსთხოვონ მრევლს სკოლისთვის შესაწირავი, როგორც უკვე რუსეთის ეპარქიებში არის შემოღებული.

*** 8 ივნისს საქალებო ინსტიტუტში მოხდა კენჭის ყრა სამს ვაკანსიაზედ. კენჭით მიღებულ იქმნა ქართველ ქალთაგან თავ. ჩოლოყაშვილის ასული—ნინო.

*** გზათა მინისტრი მ. ი. ხილკოვი კვირას, 11 ივნისს, საქართველოს სამხედრო გზით ტფილისში ჩამოვა. მინისტრი ტფილისში დარჩება ორი დღე და მერე ამიერ-საქართველოს რკინის გზით წავა ფოთში.

*** რედაქციამ მიიღო წიგნი „ასპინძის ომი“ იაკ. გოგებაშვილისა, გამოცემული კ. თავართქილაძისაგან. ეს წიგნი მეორედ დაიბეჭდა. თავართქილაძის გამოცემა სჯობია პირველს გამოცემას, რომელიც ტფილისში დაიბეჭდა. წიგნი დაბეჭდილია მშვენიერს ქაღალდზედ, ჩართული აქვს ერეკლე მეფის სურათი ორ ადგილას, ერთი თავში, ყდაზედ, და ერთიც შუაში, აგრეთვე ქარტა ასპინძის მხრისა. წიგნი საზოგადოდ ძალიან სუფთად არის დაბეჭდილი, რიცხვით 2400 ცალი. ამასთანავე უნდა შევნიშნოთ, რომ კორექტურული შეცდომა თითქმის არ მოიპოვება ამ წიგნში.

*** ს. ასკანა, (გურია): 6 ივნისს აქ შესდგა საზოგადო ყრილობა ყველა წოდების პირთა, შესახებ ორკლასიან სასწავლებლის შენობის იჯარით მიცემისა. ადგილობრივმა მამასახლისმა ს. მჭეიშვილმა შეადგინა სავაჭრო ფურცელი, თუ ვინ და რა ფასში აიღებდა შენობის გაკეთებას. სხვათა ექვსთა მოვაჭრეთა შორის სურვილი განაცხადა ჩვენივე საზოგადოების მცხოვრებმა კონსტ. თალაკვაძემ, რომელმაც დაირჩინა 2,300 მანეთში. აზნაურობამ და სასულიერო წოდების პირთ შემწეობის აღმოჩენა აღუთქვეს საზოგადოებას. მოიჯარადრემ 1-ლ სექტემბრისათვის უნდა მოამზადოს სკოლა.

*** რკინის გზის ლიანდაგი წვიმების გამო გაფუჭდა რიონსა და ხაშურს შუა. მატარებლები ჩერდება ტფილისიდგან მიმავალი ხაშურში და ბათუმიდგან რიონში. შეიძლება ორს დღეს ვერ შეაკეთონ.

*** გუშინ, 9 ივნისს, ალექსანდრეს სამსწავლებლო ინსტიტუტში სწავლა დაამთავრა 18 მოწაფემ. ამათში ქართველი მხოლოდ ორია: მელიქიშვილი და ურუშაძე.

*** სიღნაღი: აქაურ ნოქრების თხოვნით კვირა-უქმე დღეებში მთავრობის განკარგულებით ვაჭრობა აღკრძალა დუქნებში. მაგრამ აქაურმა გათამამებულმა ვაჭრებმა მხოლოდ ორი კვირა შეასრულეს მთავრობის ბრძანება და საწყალი ნოქრები დღეს, როგორც წინად, კვირა-უქმე დღეებშიაც დუქნებში არიან:

იქიდგანვე: სამს ივნისს აქ მსხვილი კაკლის ოდენი სეტყვა მოვიდა. მაგრამ მალე გადაიღო; მაინც დააზარალა ქირნახული სიღნაღში და მის გარემო მახლობელს სოფლებში.

დ. ცხინვალი: მდგომარე თვის 7, ღამის 12 საათზედ, აქ ერთი შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა. ორ ახალგაზდათ, ტომით სომეხთ, მოუვიდათ ჩხუბი და ერთი-ერთმანერთი ჯიბის დანებით სასიკვდილოდ დასჭრეს. ერთია დაჭრილი მუცელში ისე ღრმად, რომ წელები სულ მთლად უჩანს. ერთს წელიც გაჭრილი აქვს. მეორეკი დაჭრილია მუცელსა და მარცხენა ძუძუს თავში. ამ დაჭრილს პირიდგან ერთთავად სისხლი ამოსდის, რის გამოც მღვდელმა ზიარება ვერ მიაღებინა. დანის პირს ფილტვებამდის ჩაუტანებია. როგორც ექიმის შემოწმებიდგან სჩანს, ძნელია მათი გადარჩენა. მიზეზი ასეთის სამწუხარო მოქმედებისა ჯერ არავინ იცის. ზოგნიკი ამბობენ, რომ ერთს მეორის დიდის-ხნის ჯავრი სჭირდაო.

ამ სამი-ოთხის დღის წინად, აქ ერთი ცხინვალის ახლო-მახლო სოფლებში და ჯავის ხეობაში მოთარეშე გავარდნილი კაცი მოიყვანეს გაბაწრული. ბოქაულმა შეპყრობილი მოსამართლესთან გაჰგზავნა ჩაფრებით ჩვენების ჩამოსართმევად. ჩაფარმა ავაზაკი სასამართლოს ზალაში შეიყვანა მოსამართლესთან და თვითონ შეიარაღებული ჩადგა გასასვლელს კარებში. ცოტა ხნის შემდეგ მოსამართლემ დაუძახა ჩაფარს: მოიყვანე ეგ ავაზაკი, ვინ არიო. ხანჯალ-ამოღებული ჩაფარი შევიდა მოსამართლესთან და მოახსენა, ავაზაკი არ იყო, რომ აქ გაახელით წელანაო. თურმე ნუ იტყვით, მანამ მოსამართ-

---

## ფელეტონი

—

**ნაწყვეტი.**

—

რკინის პალოზედ მიბმულმა
მორთო საზარლად ღრიალი;
„მომეშველეთო“,—გაჰყივის,
ჯაჭვს ამსხვრევს, გააქვს ზრიალი.
მო, მტრებს ჩვეულებრ, ქართველნო,
ვასმინოთ ხმლების წკრიალი;
მიჯაჭულ გმირი ავუშვათ,
მერე ტკბილად ვსვათ ფიალი.

გოჩა.

**ბიბლიოგრაფია.**

„ფირალი დავლაძე“ ლალიონისა.

(„მოამბე“ 1895 წ. № № 4, 5).

**საზოგადოდ სიტყვა-კაზმულობის შესახებ.**

დიდი ხანია მას აქეთ, რაც თითქმის ყოველის მხრით მოისმის ჩივილი: მწერლობა დაეცა! მწერლობას წინანდელი სიღრმე და ზედ-მოქმედება აღარა აქვს; ლიტერატურის უწარჩინებულესნი წარმომადგენელნი დაიხოცნენ, ახალნი აღარ ჩნდებიან და სხვ...

არა სჩივიან მხოლოდ სკანდინავლები და რამოდენიმედ პოლონელნი. ამ ჟამად სკანდინავლების მწერლობა უმაღლეს წერტილამდე არის ასული. ამ ერის თანამედროვე მწერლობას სათავეში უდგას ორი გამოჩენილი პოეტი—იბსენი და ბიორნსტერნები ორნსონი, რომელთაც არამც თუ მარტო სამშობლო ქვეყანა, არამედ მთელი განათლებული კაცობრიობა კითხულობს და სტკბება. პოლონელების დიდებას-კი შეადგენს ჩინებული ტალანტის მქონე რომანისტი სენკევიჩი.

რასაკვირველია სხვა განათლებულ ერთაც ჰყავთ გამოჩენილნი მწერალნი. დოიჩებს *): შპილგაგენი, ზუდერმანი, ჰაუპტმანი... ფრანგებს—ზოლა, დოდე, კოპპე, ბურჟე... ჩამოთვლა სა საჭიროა! მაგრამ ესენი ბევრად ჩამორჩებიან ძველებს. ახლანდელ ზოგიერთს გამოჩენილს მწერალს-კი რომ თავისს დღეში არ აეღო კალამი ხელში უმჯობესი იქნებოდა.

საფრანგეთის წყობილ-სიტყვაობაში ესრედ წოდებულმა ნატურალურ სკოლამ დიდი დემორალიზაცია შეიტანა. ზოლამ თავისს სკოლით მშვენებით სავსე მუზა აპოლონისა დაამცირა და შეურაცხჰყო.

ნატურალისტები ესტეტიკის კანონებს უარს-ჰყოფენ და რომანში შემოაქვთ ის ელემენტები, რომლებიც მხოლოდ გარყვნილ მკითხველის აღუღელვებლად არის დანიშნული. სიმვოლისტები და დეკადენტები-კი ჭკუა შერყეულივით ბოდავენ და ამას პოეზიას ეძახიან.

რუსებიც სხვებზედ არა ნაკლებ სჩივიან, რომ მათი მწერლობა დამცირდა: სადღაა ძველი ხელოვნება, რომელიც ონეგინის, პეჩორინის, ფამუსოვის, დმუხანოვსკის ცოცხალ ტიპებს გვიხატავს? სადღა არიან დიდი რომანისტები, რომელთაც მთელ ევროპაში გაითქვეს სახელი?—რუსებს ეხლა, დარჩენიათ მხოლოდ ლეონ ტოლსტოი და იმანაც აგერ თხუთმეტიოცი წელია, რაც ფილოსოფიას, განსაკუთრებით ეტიკას, მოჰკიდა ხელი და თუ დასწერა რამე ბელეტრისტული (Крейцерова соната, Хозяинъ и работникъ) ისიც რომელიმე თავისს ფილოსოფიურ თხზულების განსამტკიცებლად და დასასურათებლად. მართალია მწერალმა რა განზრახვითაც უნდა დასწეროს ჩვენთვის სულ ერთია, მხოლოდ საქმე იმაშია, რომ გრაფის ახალი ბელეტრისტული თხზულებანი ბევრად ჩამოუვარდება იმ ვე მწერლის ადრინდელს რომანებს.

როგორც ვიცით, თანამედროვე მწერალნი ამგვარად ხსნიან ახლანდელ ლიტერატურულ კრიზისს. ისინი ამბობენ: „მწერლობის დაცემა ჩვენი ბრალი არ არის. ნიჭიერს კაცს ეხლაც შეჰხვდებით; მწერლობის დაცემა ცხოვრების, საზოგადოების ბრალია; თანამედროვე ცხოვრება უფერულია. იგი არ ჰბადავს გარკვეულს ტიპებს; საზოგადოება უიდეალოდ სცხოვრობს, მწერალმა რა ქნას, საიდგან უნდა აიღოს მასალა, თუ ცხოვრება არ აძლევს? ისეთმა დიდმა ტალანტმა, როგორც გლებ უსპენსკია, მთელს რუსეთის ცხოვრებაში ვერ იპოვნა შესაფერი მასალა და ძალა-უნებურად რასტერიაევის ქუჩას მოჰკიდა ხელი. ეს რომ ჩვენებურად ვსთქვათ, ასე გამოვა: „რა ქმნას კარგმა მონარდემ, თუ დუშეში არ მოუვა“!

დავანებოთ თავი უცხო ქვეყნებს და ქართულ ბელეტრისტიკასაც მოვიხედოთ ერთი. საზოგადოდ თუმც არც ჩვენს ბელეტრისტებს აკლიათ ნიჭი, მაგრამ მათ რუსეთის თანამედროვე მწერლების სენი სჭირთ; თუ გინდ ცხოვრებასაც დავაბრალოთ ეს სენი—ამით საქმე წინ არ წავა.

ჩვენი ბელეტრისტები მომეტებულ ნაწილად მდაბიო ხალხის ცხოვრებას გვიხატვენ. თუმცა გლეხის ცხოვრების მრავალი მხარე არ გამოუკვლევიათ, მაგრამ რაც არის დაწერილი, იქიდგანაც კარგად გაიცნობთ გლეხთა მდგომარეობას.

ქართველი ინტელიგენცია, (ჩვენ ამ სიტყვას დიდის შიშით ვხმარობთ) მეტად უფერულია. ჩვენი მწერლობა ჯერ თითქმის არ შეჰხებია მას ოთარაანთ ქვრივში (თავადი არჩილი და მისი და ეკა), ჩვენის ქვეყნის რაინდში (მასწავლებელი სპირიდონ მციროშვილი) და სხვა ქართულ თხზულებებში გამოყვანილნი ინტელიგენტის ტიპები მეტად სუსტნი არიან. კითხულობთ და ვერ მიმხვდარხართ, ავტორთ ცხოვრებიდგან აუღიათ ეს ტიპები, თუ მათის ფანტაზიის ნაყოფია?!.

ჩვენს მწერლობაში ერთს მართლაც რომ დასაფიქრებელს მოვლენას ვხედავთ. მთელს დედამიწაზედ ვერ იპოვნით იმისთანა ლიტერატურას, რომელშიაც ყაჩაღებს იმდენი ადგილი ეჭიროს, როგორც ქართულში.

აი ბატონებო:

ილია ჭავჭავაძე: 1) რამოდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდგან. 2) გლეხის ნაამბობი.

ან. ფურცელაძე: მაცი ხვიტია.

ალ. ყაზბეგი: არსენა (კომედია).

ეგ. ინგოროყვა: სიმონა და სხვ.

ახლა ამათ კიდევ დაემატა ლალი-

---

*) „Deutsch“-ს თავისს თავს უწოდებს ის ერი, რომელსაც ფრანგები „allemande“-ს და რუსები „Нѣмецъ“-ს ეძახიან. ქართულ მწერლობაში ამ ერის სახელად „გერმანელი“ არის შემოღებული. ეს შეცდომაა. რა უნდა ვიგულისხმოთ ამ სახელით? თუ სახელმწიფო გერმანიის მცხოვრებლები, მაშინ იმ „Deutsch“-ებს, რომელნიც მაგალითად ასტრიის ბუნებრივი მცხოვრებლები არიან, რაღა ვუწოდოთ? თუ „გერმანელები“ ვიგულისხმეთ, როგორც ეტნოგრაფიული წოდება, მაშინ ხომ ინგლისელებიც, ჰოლანდიელებიც, სკანდინავლებიც—გერმანელები არიან. ჩვენის აზრით, იმ ერს, რომლის სახელი ქართულად არ გვაქვს და რომელიც თავისს თავს „Deutsch“-ს უწოდებს, ჩვენც რომ დოიჩი დავუძახოთ, სწორე იქნება.

ლე ჩამოართმევდა სხვებს ჩვენებას, იმას დრო უხელთნია და მოსამართლის შემოსასვლელ ოთახის კარებიდგან გაპარულა, ოთახიდგან სამზარეულოში ჩასულიყო და ეშვირნა პირდაპირ ქუჩაში ფეხი. ოთხთავ-კუთხივ აფრინეს მაშინვე ჩაფრები, მაგრამ ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, თვალი ვეღარსად მოჰკრეს.

*** ქუთაისი: აქ ერთის საქალებო სასწავლებლის მოწაფე ელენე შეიქნა მსხვერპლი გაუკითხავ ცილის წამებისა. საწყალი ქალი თურმე მშვენიერის ხასიათითა და ნიჭით იყო შემკობილი, რისთვისაც იგი უყვარდათ, როგორც ამხანაგებს, ისე სასწავლებლის მთავრობას. ტყუილად სცდილობდა საწყალი ქალი დაეჯერებინა ამხანაგები, რომ იგი უბრალო იყო; მან ვეღარ აიტანა ცილი და ლოგინათ ჩავარდა. რამდენიმე ხნის საშინელ სულიერ ტანჯვის შემდეგ საბრალო მოკვდა და უკანასკნელი მისი სიტყვები იყო: „ღმერთმა ხომ იცის, რომ სრულებით უდანაშაულო ვარ, ოხ, რა ცილი დამწამეს... რა სასტიკად დამსაჯესო...“

მართალია ამ გვარ კაცის კვლას კანონი არ სჯის, მაგრამ კაცთა საზოგადოებაში არის ზნეობრივი სასჯელი, რომლის მორიდება ცოტათი მაინც სავალდებულოა.

## დამაკვირდი

—

არასოდეს ისეთი ბრძნული გამომეტყველება არა აქვს ადამიანის სახეს, როგორც საჭმელთა სიის წაკითხვის დროს.

**

სტილით იცნობება კაციო, ამბობენ ფრანგები. მაშ ქვეყანაზედ ცოტა ყოფილა კარგი კაცი.

## რუსეთის ცხოვრება.

—

სავაჭრო და სამანუფაქტურო დეპარტამენტს შეუმუშავებია კანონპროექტი სახელმწიფო საბჭოსთვის წარსადგენად იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნას სოფლებში სხვა-და-სხვა სახელოსნო, რომლებშიაც პრაქტიკულად შეეძლებათ გლეხთ სხვა-და-სხვა ხელობის შესწავლა.

გაზ. „რუსკ. ვედომ“-ს შეუტყვია, რომ საბოლოოდ გარდაწყვეტილია ყოველ წლივ 3,279,205 მან. გარდიდვას სახელმწიფო ხაზინიდგან საეკკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის სკოლების შესანახად.

—

გარდაწყდა აგრეთვე, რომ იმავე სახელმწიფო ხაზინიდგან ეძლიოს ყოველ წელიწადს 30,000 მანეთი რუსეთის საგეოგრაფიო საზოგადოებას.

## ნეკროლოგი.

—

† რუის ზორილლა.

1 ივნისის დეპეშით გვეუწყა გარდაცვალება ისპანიის საპოლიტიკო მოღვაწის დონ-მანუელ-რუის ზორილლასი. რუის ზორილლა დაიბადა 1834 წელსა და უნივერსიტეტში სწავლის დამთავრების შემდეგ მადრიდში ვექილობა დაიწყო. 1856 წელს ზორილლა პარლამენტში იქმნა არჩეული. აქ ის პროგრესსისტთა პარტიას შეუერთდა და 1866 წლამდის მათი წინამძღოლი იყო, ვიდრე ისპანიიდგან განდევნიდნენ აჯანყებაში მონაწილეობის მიღებისა გამო. მაგრამ ორის წლის შემდეგ, როდესაც დედოფალს იზაბელლას ტახტი ჩამოერთვა, ზორილლა ისევ დაბრუნდა ისპანიაში; აქ ზორილლა სავაჭრო მინისტრად იყო, მერე განათლების მინისტრად, შემდეგ საზოგადო სამუშაოთა მინისტრად და ბოლოს სასჯულო საქმეთა მინისტრად. 1870 წელს ზორილლა პარლამენტის პრეზიდენტად იქმნა ამორჩეული. ამ თანამდებობის ასრულების დროს, ზორილლა ძალიან ბევრს ეცადა, რომ ისპანიის ტახტი დუკის ამედეს დარჩენოდა (19 ნოემბერს, 1870 წელს), მაგრამ 1873 წლიდგან, როდესაც ამედემ უარი სთქვა მეფობისა, ზორილლა საზღვარ გარეთ წავიდა და მას შემდეგ რესპუბლიკური პროპოგანდა აღარ შეუწყვეტია.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

თითქმის ყველა გაზეთები იმ აზრისა არიან, რომ დღეს რუსეთს დიდი სიფრთხილე ჰმართებს შორეულ აღმოსავლეთის საზღვრებისაკენ. რუსის მხედრობის რაოდენობა იქეთ ერთი ორად და მეტად უნდა გაძლიერდესო. „ნოვოსტი“ ამ საგანზედ სწერს:

> გზათა უვარგისობა ამურის მხარეზედ ადრევე უნდა გასწორდეს: საქმე უნდა ისე მოვაწყოთ, რომ გაჭირვების დროს არც-ერთის სროლა ტყვია-წამლისა არცერთის ხმელის პურის გაგზავნა აღარ დაგვჭირდეს. ხმელეთსა და ზღვის ძალა ჩვენი მუდამ მზად უნდა იყოს, ყველა ადგილებში ჯარის კაცთა საჭირო რიცხვი უნდა იყვეს უთუოდ, რომ ომის დროს აღარაფერი არ გვქონდეს საზრუნველი; საჭიროა ყველა საჭირო იარაღი და სურსათი გამზადებული გვქონდეს, რომ რა დროსაც-კი მოითხოვს საჭიროება, მხედრობას ხელ-შეუშლელად შეგვეძლოს საბრძოლველად გასვლა. ყველა დაწესებულებანი უთუოდ თავ-თავის ალაგს უნდა იყვნენ, რომ მტერი ადვილად გავაბნიოთ. მხოლოდ ამ საჭირო პირობათა აღსრულების შემდეგ შეეძლება ჩვენს მხედრობას თვისის დანიშნულების პირ-ნათლად შესრულება.

საკვირველია! თითქოს გაზ. „ნოვოსტი“ მოელის, რომ რუსეთი ამ მოკლე ხანში უთუოდ შეეტაკება რომელსამე სახელმწიფოს აღმოსავლეთ აზიის საზღვრებისაკენ.

—

მკითხველებს ეცოდინებათ, რასაკვირველია, რა გამწვავებული ბრძოლა იყო იტალიაში მთავრობის მომხრეთა და ოპოზიციონისტთა შორის. არჩევნებზედ მთავრობამ გაიმარჯვა და კვლავ გაიხსნა პარლამენტი. აი რას იწერება გ. „რუს. ვედ.“-ის კორესპონდენტი პარლამენტის გახსნის შესახებ:

დედა-ქალაქს რომს რაღაც სასიხარულო ელფერი დაეტყო, თუმცა პარლამენტის გახსნის ცერემონია იგივეა, რაც წინად იყო. ქუჩებზედ დიდი მოძრაობაა. აივნები მაყურებლებით სავსეა, ხალხის რიცხვს უფრო და უფრო ემატება. მეფის ეტლი, რომელიც პარლამენტისაკენ მიიმართება, თეატრალურს კორტეჟს გვაგონებს. ეტლში ექვსი ცხენი აბია. ცხენების თავები სირაქლემას ფრთებით არის მორთული, როგორც მეირბერის „წინასწარმეტყველ-ში“. უკანიდგან ეტლს ამოღებულის ხმლით აბჯროსანნი მისდევენ. კორტეჟი დინჯად მიდის პარლამენტისაკენ, საცა შეკრებილნი არიან დეპუტატები და მაყურებლები, რომელთა შორის რომის დიდკაცობის წარმომადგენელნიც იმყოფებიან. ახლად არჩეული დეპუტატები მოკრძალებით იყურებიან აქეთ-იქით და ძველს დეპუტატებს-კი თამამად უჭირავთ თავ-თავიანთი ადგილი. პარლამენტში შემობრძანდება მეფე, ყველანი ფეხზედ დგებიან და ტაშს უკრავენ. დეპუტატთა შორის არა სჩანან სოციალისტები და რესპუბლიკის მომხრენი. მათ არ უნდოდათ დასწრებოდნენ მეფის მიერ წარმოთქმულს სიტყვას.

ხანგრძლივი ტაშის ცემა გამოიწვია აგრეთვე მეფის სიტყვამ.

## როგორ ხმარობენ ელექტრონს მეურნეობაში.

ამ უკანასნელ ოც-და-ათის წლის ტეხნიკური განვითარება განსაკუთრებით ხასიათდება ეგრედ-წოდებულ ელექტრო-ტეხნიკის განვითარებითა და გამარჯვებით. ამ ძალას, ანუ ელექტრონს, ხმარობენ ყველა სატეხნიკო ნაწილში ამა თუ იმ აზრის განსახორციელებლად. ერთად-ერთი მეურნეობა არ ხმარობდა ელექტრონს დღემდის. ხსენებული მრეწველობა (მეურნეობა) საზოგადოდ უკან ჩამორჩენილად არის ცნობილი და მხოლოდ ბოლოს გამოებმება ხოლმე კუდად სხვა მრეწველობათა წინმსვლელობას. ორთქლის მანქანები რა არის, ეს უკანასკნელიც-კი ყველაზედ ბოლოს იქმნა მიღებული სახმარებლად მეურნეობაში და დღემდის კამათი არ შემწყდარა: მართლა სასარგებლოა ორთქლის მანქანები, თუ არა, რომელსაც უკვე ადგილი აღარა აქვს საქარხნო და საფაბრიკო მრეწველობაში.

ამ ბოლო დროს-კი დაიწყეს გამოკვლევა იმისი, თუ როგორ გამოიყენონ ელექტრონი მეურნეობაში; ეს გამოკვლევა სამ ჯგუფად განიყოფება: მუშაობა ელექტრონის მანქანებით, „ელექტრო-კულტურა,“ ანუ მოსავლის განმრავლება ელექტრონის ძალითა და ელექტრონის შემწეობით მწვანილეულობისა და ყვავილების ადრე მოყვანა და სხვა.

ამ ჟამად მეურნეობაში უმეტეს ნაწილად საქონლით მუშაობენ, მაშინ როდესაც საქონლით მუშაობა ძალიან აძნელებს საქმეს. ხარსა და ცხენს მუშაობის დროს უძლურდებათ ძარღვები, აღნებათ ქონი და ბოლოს სრულიად უვარგისნი ხდებიან მუშაობისათვის. მეხანიკური მანქანებიკი არც ილლებიან და იმათი მუშაობაც შედარებით ძალიან იფადა ჯდება; იმათ სჭირდებათ ქვის ნახშირი, შეშა, ჩალა, ნავთი და სხვა. მაგრამ ერთი დაბრკოლება აქვს ამ მანქანებს.

---

ონის „ფირალი დაელაძე“ (იხ. მოამბე №№ 4, 5). ჩვენ პატარა მწერლობისათვის მგონი ესეც ბევრია!

მსოფლიო მწერლობაში ყველაზედ უფრო ცნობილი ყაჩაღის ტიპი შილლერის „კარლ მოორია“. ქართულს მწერლობაში გამოყვანილი ყაჩაღის ტიპები კაკოდამ (რამოდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდამ) დაწყებული დაელაძემდი ცოტად თუ ბევრად კარლ მოორს ჩამოგავენ. ყველა ისინი ბუნებისაგან უხვად დაჯილდოვებულნი არიან; ისინი ვერ ეტევიან იმ ვიწრო კალაპოტში, რომელშიაც თანამედროვე წეს-წყობილება სცდილობს ჩასვას იგინი.

ყაჩაღები ზოგიერთს ჩვენს მაზრებში თითქმის უკანასკნელ დრომდისაც მოიპოვებიან. საზოგადოების ყურადღება უნებურად უნდა იყოს მათზედ მიქცეული. ეს არის თავი მიზეზი, რომ აძღენს სწერენ ჩვენში ყაჩაღებზედ. გარდა ამისა ყაჩაღების ცხოვრება მწერალთათვის ხელ ჩასაკიდებელი და მასალებით მდიდარი საგანია.

რასაკვირველია ამეებით არ თავდება ის მიზეზები, რისთვისაც ჩვენი მწერლები ყაჩაღების ცხოვრებიდგან ტემას ხშირად იღებენ, მაგრამ უმჯობესია პირ-და-პირ ლალიონის თხზულებას შევეხოთ, თორემ ვინ იცის სად შევტოპოთ...

I

ჩვენ სალიტერატურო ასპარეზზედ ლალიონს პირველად ვხედავთ. „ფირალი დაელაძე“ მისი პირველი ნაბიჯია.

შილლერის პირველი თხზულება „ყაჩაღები“ იყო.

ღმერთმაც ქმნას, რომ ლალიონი სხვაშიაც დაემზგავსოს გერმანიის დიდს პოეტს.

ლალიონს კარგად შეუსწავლია გურული ხალხის ცხოვრება. მოთხრობა „ფირალი დაელაძე“ გვიხატავს იმ მიზეზებს, რის გამო გურიაში ამ უკანასკნელ დროს ყაჩაღობა სენად გარდაიქცა.

მოთხრობაში ახალი ტიპი ჩვენ ვერ ვიპოვეთ. ივანეს, ალექსის, ნინოს, ნოკოს და სხვა მოთხრობაში გამოყვანილ პირების მზგავსს ტიპებს ჩვენ წინადაც შევხვედრივართ ქართულს მწერლობაში. ორი ფირალია გამოყვანილი მოთხრობაში: ივანე და ალექსი. ივანე უფრო გაშმაგებული და გულ-გაქვავებულია ალექსიზე. იგი ცდილობს ყველა თავისს მტერს მოუღოს ბოლო.

— ქვეყანას არ შევარჩენ ჩემს გაფუჭებას! ვინც მევინელე, მევინელე და ვინც არა, იგინსაც მალე დაუბნელებ მზეს! (მოამბე № 5 გვ. 37) ამბობს იგი. დაელაძე აზნაურიშვილია; იგი სათუთად და ნებივრად არის აღზრდილი. ივანე ბავშვობისას, რაც უნდოდა, იმას სჩადიოდა. იგი მიაბარეს ოზურგეთის სკოლაში, მაგრამ იქ განებიერებული ბავშვი ვერაფერს ვერ გახდა. ივანე რომ სკოლიდგან გამოვიდა ბათუმისკენ გაემგზავრა, სადაც ზნეობით მთლად გაირყვნა. დედის სიკვდილის გამო იგი დაბრუნდა შინ და აქ უსაქმურად ქეიფში ატარებდა დროს. ივანე იცნობდა ერთ ლამაზ აზნაურიშვილის ქალს ნინოს. მას შეუყვარდა ნინო და მოინდომა მისი შერთვა. რადგანაც ივანეს საცხოვრებელი თითქმის სულ შეჭმული ჰქონდა, მან მოინდომა რამენაირად ფულის შოვნა. ივანე რამოდენიმე ამხანაგებით დაეცა და მოკლა „ერთი მემამულეთაგანი, რომელსაც ფულიანი კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი“ მკვლელობა ივანეს შეუტყეს და დააპატიმრეს. რამოდენიმე ხნის შემდეგ ივანე გაიქცა საპყრობილედგან, „გავარდა ფირალად“ და მეთაურობდა „ერთს საშინელს ბრბოს ავაზაკებისას, რომელმაც თავზარი დასცა არამც თუ მარტო გურიას, არამედ მთელს გუბერნიასაც კი.“ ბევრი ავაზაკობა ჩაიდინა ივანემ: მოჰკლა თავისი მტერი ვაჭარი ნიკო ბათუმში და ბოლოს ისიც მოკლეს ჯარის კაცებმა.

აი დაელაძის მოკლე ისტორია. უსარგებლოდ და ქვეყნის საზარალოდ ჩაიარა კაცის სიცოცხლემ... ჩვენ წინად ვთქვით, რომ ჩვენს ლიტერატურაში გამოყვანილნი ყაჩაღები ცოტად თუ ბევრად კარლ მოორს ჰგავს-თქო. უნდა გამოვტყდეთ, რომ დაელაძე რომანტიულ ყაჩაღს ძლიერ ცოტად ჩამოგავს, ავტორს შეუკრებია ის, რაც ბოროტი და საზიზღარია და მარტო ამ მხრით გვიხატავს ივანეს. ერთხელ დაელაძეშიაც ვითომც და იღვიძებს კაცობრიული გრძნობა.

— ერთს დღეს „სათამაშოში“ ვანო საცეკვად გამოვიდა და იქვე მდგომი ნინოც გამოიწვია; ესეც გამოჰყვა და თავისი მომხიბლავი თვალები ყმაწვილ კაცს მიაპყრა, ვანო უნებლიედ შეკრთა: მას თითქოს შერცხვა თავისის უწინდელ განზრახვისა (ნინო ჟინის მოსაკლავად უნდოდა) და უცბად რაღაც უცნობი გრძნობა დაებადა... *) (მოამბე № 4 გვ. 17, 18). მაგრამ სიყვარული ივანეს არამც თუ არ აყენებს სწორე გზაზედ, არამედ იგი მის მერე ხდება მკვლელი და მძარცველი.

ჩვენ მარტო იმით შეგვიძლია ვინუგეშოთ, რომ დაელაძე თუ გინდ გურიის ცხოვრებიდგან აღებული ნამდვილი ტიპი იყოს, იგი მაინც ძლიერ იშვიათად შეხვდება კაცს ჩვენს ცხოვრებაში.

II

ალექსი სანდომიძე ერთის მცირე შემთხვევის გამო გავარდება ფირალად და დაელაძის ამხანაგად ხდება. იგი ბევრად პატიოსანი, სინიდისის მქონე და ჩჩვილის გულის პატრონია ვიდრე დაელაძე.

— ეს იყო პატიოსანი, გულ-კეთილი და შრომის მოყვარე ახალგაზდა. მარად მკვირცხლს და მხიარულს მას სიმღერაში და ცეკვა-თამაშში არავინ სჯობდა მთელს სოფელში. (მ. № 5 გვ. 28) ალექსი და ივანე ერთად იმალებიან ტყეში. ერთს დილას ისინი შელაპარაკდნენ; ალექსი თვისს გაფირალებას ივანეს აბრალებს.

— ეს ლაპარაკი მოულოდნელმა ხმაურობამ შესწყვიტა: განთიადმა მოაწია, შორიდგან მოისმა სიმინდით დატვირთულ ურმების ჭრიალი და მშვენიერი „ხელხვავი“. ალექსის გული ამოუჯდა. „ვაიმე ჩემო დაღუპულო ოჯახო“! წაილუღლუღა მან და თვალებზედ ცრემლი მოადგა. (მ. № 5 გვ. 38). ალექსის ფირალად გავარდნის მიზეზი ეგზეკუცია იყო. ფიცხელმა ალექსიმ ვეღარ მოითმინა ოჯახის აოხრება და შეურაცხყოფა და ყრილობის დროს ბოქაულს ასე უთხრა:

— ჩვენ რაც გვჭირს, იგიც გვეყოფა! მეტი რა უნდა გვიქნათ, რაღა შეგვრჩენია, რომ წაგვართვათ და გაგვიყიდოთ? ჩვენ შიმშილით ვიხოცებით, არაფერი აღარ შეგვარჩინეთ ქვეყანაზედ, ახალა მუშაობასაც აღარ გვანებებთ! ერთი კვირეა აგერ, შინ არ ვყოფილვარ: ხან აქეთ მათრევთ,

---

*) კურსივი ჩვენია.

ძალიან ბევრი ენერგია იკარგება ფუჭად ძალის გადაცემის დროს. ასს ნაწილ სითბოზედ, რომელსაც ნახშირითა და შეშით ამოძრავებული ორთქლის მანქანა იძლევა, მხოლოდ 25—30—40 პროცენტი მიდის სამუშაოდ გამოსაყენებლად, დანარჩენი-კი ძალის გადაცემას, მანქანის მოძრაობას უნდება. ეს არის იმზეზი, რომ დღემდის დიდი კამათია იმის შესახებ, თუ რამდენად სასარგებლოა მეურნეობაში ორთქლის მანქანების ხმარება. გარდა ამისა ერთი ნაკლებულობა ამ მანქანებისა ის არის, რომ ბევრი მეურნე, თვით საშუალო შეძლების პატრონიც-კი, სიძვირის გამო ვერ შეიძენს ხსენებულს მანქანებს.

ელექტრონის ხმარება სამეურნეო მრეწველობაში იმითია საადვილო და სასარგებლოც, რომ აქ ადვილად შეიძლება ენერგიის დანაწილება და მავთულების შემწეობით სამუშაო ადგილებში საჭირო ძალის დაგზავნა. საზოგადოდ ეს ოპერაცია შემდეგისაგან შესდგება: მეხანიკური მუშაობა (ორთქლით მმოძრავ მანქანისა, გიდრავლიკურ და ქარით მმოძრავისა) მაგნიტო-მანქანაში ელექტრონად იცვლება; ეს უკანასკნელი ძალა მავთულით გადადის სამუშაო ადგილას და აქ ელექტრონისავე მმოძრავ მანქანის შემწეობით მეხანიკურ (სასარგებლო) სამუშაო ძალად გარდიქმნება. რასაკვირველია ამ შემთხვევაშიაც ბევრი ძალა იკარგება გადაცემის დროს უსარგებლოდ; მაგრამ მაინც როგორც შარშან გერმანიაში ნაცად ელექტრონის გუთანმა დაამტკიცა, ელექტრონი შედარებით უფრო სასარგებლო ყოფილა; ბრუტშკეს გამოანგარიშებით ელექტრონით მიწის შემუშავება ორჯელ იაფად ჯდება, ვიდრე ორთქლის მანქანებით. მაგრამ, რასაკვირველია, როგორც ზევითაცა ვსთქვით, საჭირო მანქანათა შეძენა ბევრს მეურნეს არ შეუძლიან. ყველასათვის ადვილი იქმნება ელექტრონით მიწის შემუშავება მაშინ, როდესაც დაარსებული იქნება ცენტრალური ელექტრონის სადგური; ამ სადგურიდგან ყველა მეურნეს ადვილად შეეძლება პატარა ელექტრონის მმოძრავ მანქანის გაყვანა თავისს მამულში და არც ძვირად ეღირება ეს.

რამდენიმე წელიწადია, რაც ელექტრონით კულტურის განვითარებასა სცდიან. დიდი ხანია შენიშნულია, რომ ატმოსფერის ელექტრონი ძალიან კარგად ჰმოქმედებს მცენარეებზედ. ეს ელექტრონის გავლენა შეიძლება გაძლიერდეს ეგრედ წოდებულ ლითონის კოლლექტორთა შემწეობით, რომლებიც მაღალ ხეებზედ იქნება მიმაგრებული და მიწიდგან ფაიფურისა ან შუშის დასადგმელით განშორებული, რომ ელექტრონის ძალა მიწაში არ მიდიოდეს. კოლლექტორნი ერთმანეთთან ელექტრონის მავთულებით იქმნებიან შეერთებულნი და მიწაზედ გადაშვებულნი. ამ საგნის შესახებ პოლენისა, სპეშნევისა, ფიხტნერისა და სხვ. გამოკვლევამ აღმოაჩინა: მოსავალმა 50—70% იმატა; მაგრამ საუბედუროდ, სხვა-და-სხვა მიზეზთა მხრივ ხელის შეშლისა გამო ელექტრონით მიწის შემუშავება საფუძვლიანად არ შესულა ხმარებაში.

ელექტრონს ხმარობენ აგრეთვე მევენახეობასა და მებოსტნეობაში. სინათლე უთუოდ საჭიროა მცენარეთათვის ჰაერის ნახშირ-სიმჟავისაგან ნახშირბადის შესაძენად, რომელიც უმთავრეს ელემენტად ითვლება მცენარის ზრდასა და განვითარებაში. დღეს ეს ხსენებული პროცესსი მხოლოდ დღისით ჰმოქმედებს მზის სინათლეზედ და ღამე-კი შეწყდარია. მაგრამ როდესაც ელექტრონს ვიხმართ, მაშინ პროცესსი განვითარებისა და ზრდისა დღე და ღამ შეუწყვეტელი იქმნება (დღისით მზე და ღამით ელექტრონის სინათლე) და ამნაირად მცენარენი უთუოდ ორჯელ ჩქარა დაიზრდებიან. როგორც ერვემანგონისა, სიმენსისა, ბელისა და სხვათა გამოკვლევანი ამტკიცებენ, ელექტრონი არავითარს ზარალს არ აძლევს მცენარეთ და თვისი ბუნებით თვისება უცვლელადა ჰრჩება ყოველს მცენარეს. რამდენად იაფი თუ ძვირი იქნება ელექტრონის ხმარება მეურნეობაში, ეს ჯერ არ გამოუკვლევიათ; მხოლოდ ელექტრონს დღეს ბევრი შეძლებული ევროპიელი მემამულე ხმარობს მწვანილეულობის ადრე მოსაყვანად.

აი, როგორ ხმარობენ ელექტრონს მეურნეობაში. როგორცა სჩანს ჯერ მხოლოდ ეხლა იწყებენ ელექტრონის მეურნეობაში გამოყენებას, და ამიტომ მისი სასარგებლოდ ხმარება მხოლოდ მომავლის საქმეა.

## უცხოეთი

—

**გერმანია.** გაზეთებში დაბეჭდილია ჩრდილოეთის არხის დღესასწაულის პროგრამა. იმპერატორი ვილჰელმი შევა არხში 8 ივნისს, დილით გემით „ჰოჰენცოლერნ“. ამ გემს თან ახლდება ოც-და-ათამდე სხვა სახელმწიფოთა და გერმანიის გემები. კილის ნავთ-სადგურში (არხის ბოლო) გემები მივლენ 2 საათზედ. საღამოს ზღვის აკადემიაში გაიმართება დიდი ბალი. მეორე დღეს, 9 ივნისს, 11 საათზედ, დიდის ამბითა და ცერემონიით ჩადებულ იქნება არხის უკანასკნელი ქვა. საღამოს იმპერატორის თავმჯდომარეობით გაიმართება ნადიმი, რომელზედაც მიწვეულნი იქნებიან პრინცები, დესპანნი, ადმირალები და ოფიცრები უცხო სახელმწიფოთა გემებისა. შაბათს, 10 ივნისს, ზღვის ალლუმი გაიმართება, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ყველა სახელმწიფოთა გემები, გარდა საფრანგეთისა, რომლის გემები 9 ივნისს, ღამის 12 საათზედ წავლიან კილიდგან, რათა ალლუმს არ დაესწრნენ.

—

კილის არხის გახსნის შესახებ გ. „ტან“-ის კორესპონდენტი სწერს: არხის გახსნაზედ ევროპიელ სახელმწიფოთა და ამერიკის შეერთებულ ატშტების მიერ გაგზავნილ იქნება 53 სამხედრო ხომალდი. მათ მიემატება 40 გერმანიის ხომალდი. უკვე გამოცხადებულია, რა გვარი წეს-რიგით დაეწყობიან გემები კილის არხზედ. საფრანგეთის გემები ადმირალ-გენარის ხელმძღვანელობით დადგებიან გერმანიის იმპერატორის გემების ახლოს. გერმანიის ხომალდების მეზობლად იდგება ინგლისის ორი ხომალდი. რუსეთის გემები იდგებიან რამდენიმე კილომეტრზედ საფრანგეთის ხომალდებიდგან ჩრდილოეთის მხრივ. მეზობლად იტალიის, ესპანიისა და ინგლისის დედოფლის გემი „ოსბორნი“ იდგება. გარდაწყვეტილია აგრეთვე, რომ ყველა სახელმწიფოს თითო ხომალდი იმპერატორის გემს თან ახლდება.

ამ ხომალდებზედ იქნებიან დიპლომატიის წარმომადგენელნი. გერმანიის მთავრობა დიდს ყურადღებას აქცევს უცხოეთის პრესსას. შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაავალა გერმანიის მწერლობის კომისიას, რათ ამათ იზრუნონ დღესასწაულზედ მოსულ უცხოელ თანამეკალმეთა დასახვედრად. კომისიამ ეს დავალება არამც-თუ მტკიცედ შეასრულა, არამედ იმ პროგრამას, რომელიც ოფიციალურად იყო გამოცხადებული, კიდევ ჩაურთო მრავალი სამხიარულო გასართობი, რომელიც კილში დიუსტერნბერგში, ჰამბურგში და ალტერნში გაიმართება. ჰამბურგის სენატი თავისს მხრივ პრესსის პატივსაცემად სეირნობას გამართავს და იწვევს მწერლობის წარმომადგენელთ ორი დღით გემით სასეირნოდ ბრემენში, საიდგანაც სკაგერაკზედ გაივლიან.

—

**საფრანგეთი.** მონარქისტთა და რადიკალთა გაზეთების გარდა ყველა გაზეთები ერთისა და იმავე აზრისანი არიან რიბოსა და განოტოს მიერ წარმოთქმულ სიტყვების შესახებ. მაგ. აი რას ამბობს „გოლუა“ რუსეთის მიერ ჩინეთის სესხის გარანტიის გამო. რუსეთის ასეთს საქციელს ხსენებული გაზეთი სათეატრო ეფფექტს უწოდებს. პეტრე დიდის შემდეგ ასეთი თამამი ნაბიჯი არ გადუდგამს რუსეთსაო,—ამბობს „გოლუა“. მერმე საშინელის შეურაცხყოფით და დაცინვით შეჰნიშნავს, რომ რუსეთი დღემდის მუდამ ვალში იყო და ეხლა თითონ აპირებს სხვის თავდებობასაო.

## უცხოეთის წვრილი ამბები.

—

უწინ საბერძნეთში ჩვეულებად ჰქონდათ ხოლმე საზოგადოდ დღესასწაულებზედ და მომეტებულ ნაწილად ოლიმპის დღესასწაულზედ ჭიდაობის გამართვა. ერთმა მოჭიდავემ, რომელსაც დიაგარს ეძახდნენ, დიდი სახელი მოიპოვა მთელს საბერძნეთში. იგი ყოველთვის დაუმარცხებელი ბრუნდებოდა დღესასწაულიდგან. როცა თითონ დაბერდა, ახლა თავისი შვილები გაჰყავდა საჭიდაოზედ. ერთს ამისთანა დღესასწაულზედ მისმა შვილებმა დაამარცხეს საბერძნეთის ყველა მოჭიდავენი. დიდად გახარებულმა შვილებმა თავისი მამა, მხცოვანი მოჭიდავე, ხელში აიყვანეს და ისე დაჰქონდათ. ხალხი მათ უკან დასდევდა ტაშისცემით, „ვაშას“ ძახილით და ყვირილით: „მოკვდი, დიაგორ, შენ მაგის მეტი აღარა გინდა-რაო!“ მართლაც მოხუცებულმა დიაგორმა ვეღარ აიტანა ამისთანა ბედნიერება და გმირის შვილების ხელებზედ განუტევა სული. შარშან სორბონში მომხდარ საერთა-შორისო კონგრესზედ აღძრეს კითხვა და მოისურ-

---

ხან იქით... (მ. № 5 გვ. 29).

ბევრი კიდევ ამგვარი რამ უთხრა ალექსიმ ბოქაულს და გაიქცა... ამის შემდეგ ალექსი ფირალად გავარდა. თუ რამდენად შეიძლება ეგზეკუციით ხალხის გაბედნიერება ჩვენ ამის შემდეგ არაფერს ვიტყვით, მხოლოდ მოვიყვანთ ერთს ალაგს რუსეთის გამოჩენილ მეცნიერის მ. კოვალევსკის თხზულებიდგან.

„ამგვარი საშუალება სრულიად ეწინააღმდეგება საგვარეულო ყოფა-ცხოვრების გარემოებასა და ახლანდელის მართლმსაჯულების პრინციპს, რომელიც ჰგმობს იმ აზრს, რომ ერთის დანაშაულისათვის მეორე დაისაჯოს. თუ გვინდა მოვძებნოთ ამ საშუალების მსგავსი რამ, უნდა გავიხსენოთ საშუალ საუკუნეების დასაწყისი, X და XI საუკუნე, როდესაც უცხოელებმა, ჯერ დანებმა, შემდეგ ნორმანებმა დაიპყრეს ინგლისი და გადამეტებულ მკვიდრთა ასალაგმად სხვა ღონისძიება ვერ იხმარეს და შემოიღეს ერთო დანაშაულობისათვის მთელის თემის პასუხის-გებაში მიცემა.

რამდენად საფუძვლიანია რუსეთის მხრით, რომელსაც განუზრახავს კავკასიაში განათლების შეტანა, წაჰბაძოს ინგლისის პირველ დამპყრობელთა საშუალებას, ამის გარდაწყვეტას ჩვენ არ ვკისრულობთ“.

(М. Ковалевскій, Законъ и Обычай на Кавказѣ, т. I, стр. 286).

დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს საგანს.

რამდენად ძვირფასი იყო ალექსი დედისათვის, როგორც ერთად-ერთი შვილი და რა მწუხარებაში ჩააგდო საბრალო დედა მისმა უდროოდ სიკვდილმა, ამას ავტორი საუცხოვოდ გვიხატავს. საცოდავი დედაბერი შვილის საფლავზე დაგდებულა და მოსთქვამს.

— შვილო, შვილო, ჩემო კოკობულავ ალექსავ, ჩემო ნენავ, რეიზა მომიძულე, რეიზა დამტიე ძაღლის საჭმელად? ამას მპირდებოდი, ნენა, შენი ჭირიმე, ჩემო ძუძუვ? გაწირულებით მოსთქვამდა საცოდავი მარინე და თან გულ-მკერდს იგლეჯდა. (მ. №5 გვ. 44).

### III

ნინოს ჩვენ დიდი ხანია ვიცნობთ:

„სოფლისა მნათი მნათობი, მზისაც დასთა დასული,
„მან მისთა მჭვრეტთა წაუღის გული, გონება და სული...
„რა გაიზარდა, გაივსო, მზე, მისგან საწუნარია...

ნინო სუსტი ქმნილებაა, ის არ არის მომზადებული ბრძოლისათვის; მას არ აქვს ღონე, რომ აღუდგეს საბრძოლველად ამ ქვეყნის ბოროტებას. ის აუცილებლად უნდა შთავარდეს რამე განსაცდელში. თუ გამოიხსნის მას გმირი ტარიელი, ხომ კარგი, თუ არა და იღუპება; იღუპება ისე, როგორც დაიღუპნენ მზალო (ყაზბეგის ელგუჯაში), ქრისტინე (ნინოშვილისა) და სხვანი მრავალნი.

საზოგადოდ საქართველოში და განსაკუთრებით დასავლეთ მის ნაწილში ეს ოციოდე წელია, რაც იბადება და მრავლდება ახალი ტიპი—ბურჟუა-კაპიტალისტი, ჩვენი მწერლობა ამ ტიპსაც შეეხო. მაგ. გ. წერეთელი „პირველს ნაბიჯში“, ინგოროყვა „სიმონაში“ ლალიონსაც ყავს გამოყვანილი ამგვარი ტიპი—ამ ტიპის ზოგიერთი ცუდი მხარეები ავტორს ძლიერ გარკვევით და ცოცხლად აქვს დასურათებული. ნიკოს შეხედულება ცხოვრებაზე გამოხატულია შემდეგს სიტყვებში.

— „ნეუჟელი“ შენ უფულოდ გააკეთებ რამეს, კაი განათლებულიც რომ იყო?—თავმომწონედ დაიწყო ნიკომ:—შეძლება თუ გაქ, განათლებულიც მაშინ ხარ. რავა, რას უძახი შენ განათლებას? იგი კაცი კას ჭამს, კას სვამს, კარგად აცვია და ახურავს, მტერს რიგიანად დაუხთება და მოყვარეს. ერთი სიტყვით, განათლებული ცხოვრება აქ. ფული რომ არ ქონდეს, ამას ხომ ვერცეთს ვერ იზამს? ბევრი ვიცი მე იმისთანა კაცი, რომ განათლებულად მოაქ თავი და მჭადი ქე ენატრება.

### IV

ლალიონის მოთხრობაში რამოდენიმე ხელოვნურად დასურათებულ სცენებს შეხვდება მკითხველი, მაგ, ნათლიობის დროს ქეიფი, ჯგლეხების ყრილობა და სხვა. არ შეგვიძლია, რომ არ მივაქციოთ ყურადღება მოთხრობის ერთ ადგილს.

როცა ჩვენ იმ სცენას ვკითხულობდით, საცა ოთახში მარტოდ-მარტო დატოვებული უმანკო გასათხოვარ ნინოსთან ნოკო ურცხვილოდ შევა, ვკითხულობდით რა ამ სცენას, შიშმა აგვიტანა: ვაი თუ ავტორმა ისე დაამთავროს ეს სცენა, როგორც პარისის ბულვრის რომანისტები გაათავებდენ, ე. ი. უმანკო ქალს ნამუსს ახდიდნენ; ან ისე როგორც რომანტიკები, რომელნიც უთუოდ რომანის გმირს მოასწრებინებდნენ იმ წამს, როცა მკითხველს ეგონა, რომ უმანკო არსების დახსნა შეუძლებელი იყო. მაგრამ ჩვენ თურმე ტყუილად ვშიშობთ. ავტორი ასცდა ერთსაც და მეორესაც. ნიკო მოულოდნელად სცხრება. შემდეგიდგან სჩანს, რომ ნიკოს განზრახვა არა აქვს, ნამუსი აჰხადოს ნინოს. მას მხოლოდ სურს მოელაპარაკოს, რომ ცოლად გაჰყვეს. და თუ ვინიცობაა მისი თხოვნა ნინომ არ შეიწყნარა, მაშინ შეშინება უნდა, რომ საქვეყნოდ თავს მოსჭრის, სახელს გაუტეხს. ჩვენის აზრით ეს სცენა რეალურ ნიადაგზედ არ არის დამყარებული, და ავტორს ის რომ მთლად გამოეტოვებინა, მოთხრობას სრულიადაც არა დაუშავდებოდა-რა. მოთხრობა კარგი ენითაა დაწერილი და სასიამოვნო საკითხავია. მოთხრობაში უმნიშვნელო სიტყვის გაგრძელებას ვერ შეხვდებით. მოთხრობა გაკვრით „ჩატეხილ ხიდსაც“ შეეხება მაგ. აზ. ბელაძე ამბობს!

კაძალს რაფერ მივცე ქალიო.

დავლაძე ეუბნება ნიკოს:

— კაცი თუ ჩამომავლობით ჯალაბია, იმას ვერც ფული მუარჯულებს და ვერც ვერაფერი. (მ. № 4 გვ. 20).

„აზნაურობამ რა მოუტანა ვისმეს, ვინ უყურებს ახლა ჩამომავლობას.“ ამბობს ჩვენი ბურჟუა და მას ბევრიც ემოწმება: „ახლანდელ დროში ვისაც ფული აქვს, კაციც იგიაო.“

ჩვენდა სამწუხაროდ ავტორი ბუნებას საკმარისს ყურადღებას არ აქცევს. მოთხრობაში ბუნებაზედ მხოლოდ ერთ-ორს ალაგს ორიოდე სიტყვაც ნათქვამი. ეს მით უფრო შესამჩნევია, რომ სოფლელების ცხოვრებაში ბუნებას, და მეტადრე იმისთანა მდიდარს ბუნებას, როგორც გურიაშია, დიდი ადგილი უჭირავს.

რასაკვირველია, „ფირალი დავლაძე“ ჩვენის მწერლობისათვის დიდ განძად არ ჩაითვლება, მაგრამ სასიამოვნო ის არის, რომ ქართული ლიტერატურის ასპარეზზედ ახალ-ახალნი მწერალნი ჩნდებიან.

ოცნებელი.

გეს, რომ საბერძნეთში კვლავ იმართებოდეს ხოლმე ამისთანა თამაშობა. საფრანგეთის ბუმბერაზ-თა შეერთებულ საზოგადოების მდივანმა პიერ დე-კუბერტენმა გამოაცხადა, რომ სათამაშოს გასამართავად თავი-დათავი წესები უკვე გამორკვეულია. თამაშობა მომავალს წელს პირველად ათინაში გაიმართება, საფრანგეთის პრეზიდენტის ფელიქს ფორისა და სპარტის დუკის თავმჯდომარეობით. დიდმა მთავარმა ვლადიმირ ალექსანდრეს ძემ, პრინცმა უელსისამ, ბელგიის მეფემ, შვეციის და ნორვეგიის პრინცმა, ომალის დუკმა და სხვა გამოჩენილმა პირებმა დიდი თანაგრძნობა გამოუცხადეს ამ საქმის აღორძინებას. მხოლოდ გერმანელები არ მიემხრნენ მათ და მგონი კილის არხის გახსნის შემდეგ ისინიც ამ საქმისადმი თანაგრძნობას გამოაცხადებენ: ალექსანდრიიდამ ერთმა ბერძენმა ათასი ფრანკი შესწირა თამაშობის გასამართავად. თუ პირველმა ცდამ კარგად ჩაიარა, მაშინ თამაშობის გამართვა პარისში დაიწყება 1900 წელს ერთად მსოფლიო გამოფენასთან.

—

მოსწავლე ქალთა რიცხვი ჟენევის უნივერსიტეტში დღითი დღე მატულობს. 1887 წელს მოსწავლე ქალნი უნივერსიტეტში მოსწავლე სტუდენტთა 9 პროცენტს შეადგენდნენ, 1889 წელს 15 პროცენტს, ხოლო ამ 1895 წელს ქალთა რიცხვი 25 პროცენტს შეადგენს. ამ ჟამად უნივერსიტეტში ლექციების ყურის მგდებლად 128 ქალი ჩეწერა, რომელთა შორის უმეტესს ნაწილს რუსნი და პოლონელნი შეადგენენ; კარგა ბლომად სწავლობენ აგრეთვე სომეხნი ქალნი. უმეტეს ნაწილად ბუნების მეტყველებასა და ექიმობასა სწავლობენ ეს ქალნი. გაზეთის „ბერნერ ბუნდ“-ის სიტყვით რუსები მალიან ერთგულად ეკიდებიან სწავლის საქმესა და არავითარი ერთობა არა აქვთ სხვა ეროვნებათა ქალებთანაო.

## წერილები რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადოთ შემდეგ პირთ, რომელთაც შემწეობა აღმოუჩინეს ფულით თუ წიგნებით ასკანის წიგნთ-საცავს:

გ. დ. ქართველოვმა 10 მ., ი. ს. გოგებაშვილმა თავისი შედგენილი წიგნები და სამის მანეთის სხვა-და-სხვა ქართული წიგნები, გ. გუნიამ ათი ცალი თავისი შედგენილი წიგნები, თ. დ. ჟორდანიამ ორი ცალი თავისი ქართული წიგნები, გ. ს. ივანოვმა 5 მ, ზ. ჭიჭინაძემ ოც-და-ათი ცალი სხვა-და-სხვა ქართული წიგნები, ი. რ. თალაკვაძემ 5 მ., ა. ბაგრატიონ-მუხრანსკიმ 3. მ., რ. კ. კილურაძემ ორი მანეთი და ცხრა ცალი ქართულ-რუსული წიგნები.

წიგნთ-საცავის დამაარსებელი ს. ჭეიშვილი.

1895 წ.

7 ივნისი.

4 მაისს გამართული იყო საღამო ახალსენაკის ქალების სასწავლებლის სასარგებლოდ. ამ საღამოდამ შემოსული ოცი თუმანი გარდაეცა ბ. სენაკის მაზრის უფროსს ბ. ქავთარაძეს დანიშნულებისამებრ. ამასთანავე გულით ვუხდი გულითადს მადლობას ქალ. მარიამ ივანეს ასულს ტოლმაჩევისას და ნტ. მ. გაბუნია—ცაგარლისას მხურვალე მონაწილეობისათვის საღამოს გამართვაში.

მზრუნველი ახალ-სენაკის ქალების სასწავლებლისა კნეინა სალომე ჩიჩუას ასული მხეიძისა.

5-ს ივნისს 1895 წელს,
ახალ-სენაკი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

8 ივნისი.

**სტამბოლი.** პორტამ შეატყობინა ინგლისის, საფრანგეთის და რუსეთის ელჩებს, რომ თანხმაა შემოიღოს რეფორმები სომხეთში. იგი სავალდებულოდ რაცხს თავისთვის ბერლინის ხელშეკრულობას, მხოლოდ სურს, რომ ზოგიერთი წინადადებანი ხსენებულ სამ სახელმწიფოთა წარმომადგენელთა კიდევ ერთხელ იქნას განხილული.

დასასრულ, პასუხში გამოთქმულია ის იმედი, რომ უზენაესი უფლება და ავტორიტეტი ხონთქრისა ხელ-შეუხებელი დარჩებაო. ელჩებმა გადაწყვიტეს მიიღონ პორტის წინადადება და ხელახლავ განსაჯონ ზოგიერთნი მუხლნი რეფორმის პროექტისა. პასუხი შეატყობინეს დღეს ოსმალოს მთავრობას.

### კილის დღესასწაული

**ჰამბურგი,** 8 ივნისი. სადღესასწაულო სადილზედ იმპერატორმა ვილჰელმმა უპასუხა ქალაქის მოურავს: „პატივცემულო ქალაქის მოურავო! მე ღრმად ვგრძნობ თქვენგან წარმოთქმულ სიტყვებს, ვაფასებ ქალაქის ჰამბურგისაგან ასეთს დახვედრას. მე იშვიათად მქონია შემთხვევა ასე დიდებულად დამხვედროდნენ სადმე. აღტაცებას, რომელსაც მე აქ ვხედავ საგანგებოა. ხალხის მხიარულებამ გრიგალსავით გამიტაცა. მესმის, რომ მიზეზი ამ მხიარულებისა არის გამოწვეული იმ გარემოებით, რომ აქ თქვენ ხედავთ გერმანიის იმპერიის მეფეთა და წარმომადგენელთ. მიიღეთ ჩემი მადლობა და გადაეცით იგივე მადლობა ქალაქს. ჩვენ შევაერთეთ ორი ზღვა. ზღვისაკენ არის მიპყრობილი ჩვენი გონება. ზღვა საუკუნის ემბლემა არის. ზღვები აკავშირებენ ხალხს ერთმანეთთან, თორემ-კი არ აშორებენ. ეს არხი ერთა სამშვიდობოდ და საბედნიეროდ არის გაყვანილი. მთელი დედამიწა ამ ჟამად ჩვენ შემოგვყურებს და თხოულობს მშვიდობიანობას. მსოფლიო ვაჭრობა შესაძლოა მხოლოდ მშვიდობიანობის დროს. ჩვენ გვინდა მშვიდობა და დავიცვავთ კიდეც“. იმპერატორის სიტყვამ ჩინებული გავლენა იქონია.

იმპერატორის გემმა „ჰონენცოლერნმა“ 4 საათზედ გადასჭრა ლენტი, რომელიც გაბმული იყო და შევიდა არხში. იმპერატორს აღტაცებით მიეგება ხალხი, ჯარი და საზოგადოება. იმპერატორის გემს სხვა გემებიც გაჰყვა არხზედ. ყოველგან მუსიკის ხმა, სიმღერა და აღტაცება. არხი შემკობილია ყვავილებითა და დროშებით. ნაპირებზე დარაზმულია ქვეითი და ცხენოსანი ჯარი. იმპერატორის გემს მისდევს გემი „კაიზერადლერი“, რომელზედაც არიან, საქსონიის და ვირტემბერგის მეფენი, დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე, დიდი ჰერცოგი ბადენისა და პრინცი რეგენტი ბავარიისა. რუსეთის გემის დანახვაზედ ორკესტრმა „Боже Царя храни“ დაუკრა. გემიდგან ზევით თოკებზედ აცვივდნენ ჯარის-კაცები და ურა დასძახეს.

საფრანგეთის გემს მარსელიეზით მიეგებნენ. საფრანგეთის ოფიცრებმა სალამით უპასუხეს.

$12^3/_4$ საათზედ იმპერატორის გემი „ჰონენცოლერნი“ მივიდა არხის მეორე თავში გონტენაუს. ყოვლად შეუძლებელია იმ დიდებულის და საკვირველის სანახაობის აღწერა, რაც ამ მოგზაურობის დროს არხზედ იყო.

ხვალ იმპერატორის სადილზე მიწვეულია წარმომადგენელი რუსეთის მწერლობისა ვ. ვ. კომაროვი გაზეთის „სვეტის“ გამომცემელი.


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**ყ. მ. ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი **ა. ი. სოროკინ შჩერბინინისა,** 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-ისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი,** $1—1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი,** 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. გ. გურკო,** 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი,** $7—7^1/_2$ საათამდის.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის აწერისა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

---

ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ნიკოლოზის ქუჩაზედ, საგინოვის ქვრივის სახლში, № 21, „ივერიის“ რედაქციის გვერდით იძლევა ქირით პადვალი თავის გამართულობით ანუ გაუმართავად. ფასი ეკითხოს „ივერიის“ რედაქციაში მაქსიმე შარაძეს.

(10—4)

---

ისყიდება

ახალი წიგნი

## ორი პიესა

იერ. გულისაშვილისა.

1) ცხოვრება ბრძოლაა
2) დრონი მეფობენ.

ფასი ათი შაური.

(5—3).

---

დამზღვევი საზოგადოება

# „იაკორი“

(დუზა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც ძირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს

გარდა სათადარიგო ფულისა.

## დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღწამოსაღების საქონლისა.

## დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში-კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვერდს პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეყენებულვინება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500 მან. და აქანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კითვით დაზღვეული თანხაც—10,000 მ.

წერილობითი განცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში. ვოასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2), იმპერიის ყველა ქალაქების სააგენტოებში.

საზოგადოებისათვის საადვილოდ დაზღვევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სახლი ალელოვისა, თეოდორე ალექსანდრეს ძის ივანოვის სადგომში. (100—721—›)

---

**უმაღლესად** დამტკიცებული 20 მარტს 1881 წ.

დამზღვევი საზოგადოება

# „როსსია“

ს.-პეტერბურგი, Большая Морская, 37.

მთლად განაღდებული დასაფუძნებელი თანხა აქვს 20.500,000 მან

საზოგადოების სარგებლიანი ქაღალდები სახელმწიფო ბანკში ინახება.

საზოგადოების მოქმედება:

**დაზღვევა სიცოცხლისა**

მცირე პრემიით (შესატანი ფული) და მეტად სასარგებლო პირობით, სახელდობრ:

1. დაზღვევა სიკვდილამდე (სანუგეშოდ ოჯახისა და სხვა);
2. დაზღვევა ვადიანი (სიბერის დროს გამოსატანი თანხა, სამზითვო და სხ.);
3. დაზღვევა შემოსავლისა (პენსია მოხუცთათვის, ქვრივთათვის, სტიპენდია ყრმათათვის და სხვ.)

მოარულით სიკვდილი ვერ დააბრკოლებს დაზღვეულის თანხის მიცემას;

**დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან**

როგორც კერძო კაცისა, ისე საერთო, საამხანაგო, ქარხნებში მოსამსახურეთა და მომუშავეთა;

**დაზღვევა ცეცხლისაგან**

ყოველ გვარ უძრავისა და მოძრავის ქონებისა;

**დაზღვევა ტრანსპორტებისა,**

ზღვით, მდინარით, თუ ხმელეთით გაგზავნილ საქონლისა.

განცხადება დაზღვევისათვის და ყოველ გვარი ცნობები ეგზავნება უმთავრესს მმართველობას, (ბოლშაია მორსკაია, საკუთ. სახლი, № 37), კავკასიის ოლქის სამმართველოში, ტფილისს (სოლოლაკი, სერგიევის ქუჩა, სახლი № 6) და საზოგადოების აგენტებს იმპერიის ყველა ქალაქებში.

უბედურ შემთხვევისაგან დამზღვევი ბილეთება მგზავრებს (როგორც რკინის გზაზედ, ისე გემებით მიმავალთ) მიეცემათ რკინის გზის სადგურებზედ: ტფილისში, ბაქოს და ბათუმს, დ გემბუმზე/სადგურებზედ.

50—6—27